

პრექტის „განავითარე რეგიონი“ ფარგლებში გუბერნიაში შეხვედრა მოენყო

22 მარტი 2018

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორის მოადგილე, ლევან ჟღენტი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნათია ანთელავა „საქართველოს დამოუკიდებელ სტუდენტთა და მოსწავლეთა გაერთიანების“ წარმომადგენლებს შეხვდნენ. საუბარი შეეხო რეგიონში ახალგაზრდული ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და ტურისტული პოტენციალის განვითარებას. მხარეები სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, რაც გულისხმობს შიდა ქართლში ტურიზმის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.